პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

24 სექტემბერი
კვირა,
1961 წ.
№ 149 (1785)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი დიდი წარმატება

1961 წლის საკავშირო პირველობა საავტომობილო რბოლაში მოეწყო 2 ეტაპად. შეჯიბრება გაიმართა კაუნასში გაზაფხულზე, ხოლო ახლახან მეორე ეტაპზე საინტერესო შეჯიბრების მოწმენი გახდნენ ლენინგრადელი სპორტის მოყვარულები. პირველობაში გამარჯვებული უნდა გამოევლინა 2 ეტაპში ნაჩვენები შედეგების ჯამს. ამიტომ იყო, რომ ლენინის ქალაქის კიროვის სახელობის სტადიონზე 150 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაიწყო ბრძოლა ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. გათამაშებაში მონაწილეობდა 50 კოლექტივი, მაგრამ გუნდური პირველობის პრეტენდენტებად მაინც მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და ტალინის გუნდებს თვლიდნენ. პირველი ადგილი მოიპოვა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს გუნდმა. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ შ. ზარდიაშვილი, ო. გარსევანიშვილი, ა. ოგანეზოვი, ქ. ჩერკაშინი, ე. ჩერნიკოვი და ი. პოლტორაცკი.

სპორტულად დაძაბული ბრძოლა გაიმართა პირადი პირველობისათვის ნებისმიერი ფორმულის ავტომობილებში. სტარტის მიცემისთანავე წინ გაიჭრა შ. ზარდიაშვილი, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ლენინგრადელი ვ. ნოვოჟილოვი. ლიდერები 3-ჯერ შეიცვალენ, მაგრამ როცა ფინიშამდე 5 წრე იყო დარჩენილი, ქართველმა სპორტსმენმა ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ მისი მეტოქე უკვე უძლური აღმოჩნდა წინააღმდეგობა გაეწია პირველობისათვის ბრძოლაში. პირველი ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა, მანვე დაამყარა ლენინგრადის ტრასის „ნევის რკალის" რეკორდი, როცა 3000 მეტრი დისტანცია დაფარა 1 წუთსა და 49 წამში.

წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის გუნდის სხვა წარმომადგენლები. 2300 კუბური სანტიმეტრის სპორტული მანქანების კლასში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ო. გარსევანიშვილი, ბრინჯაოსი — ქ. ჩერკაშინი.

## ბ. ფიშერი — კვლავ ლიდერი




ფინიშის მოახლოვება უკიდურესობამდე ამწვავებს ბრძოლას ერთპიროვნული ლიდერობისათვის ბლედის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე. ზოგმა შეიძლება იკითხოს: რას „იკლავენ" თავს გროსმაისტერები თუ კი ბლედის ტურნირს არავითარი შესარჩევი მნიშვნელობა არა აქვს. ეს მართალია, მაგრამ სპორტული პრესტიჟი, ავტორიტეტი? ამასთან ტურნირი თითქოს საზონათ შ ო რ ი ს ო, შეიძლება პრეტენდენტთა ტურნირის პროლოგიცაა. ტურნირში, რომელშიც თავი მოიყარა ერთად 15-მა გროსმაისტერმა, ოთხმა საერთაშორისო ოსტატმა და ერთმა ეროვნულმა ოსტატმა და რომელიც იუგოსლავიის სპორტულმა პრესამ „საუკუნის ტურნირად" მონათლა, ვის არ უნდა იყოს პირველი?

სპორტული თვალსაზრისით საყურადღებოა ამერიკელი ფიშერის ლიდერობა. იგი ადრე ჩატარებულ ტურნირებში, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერები მონაწილეობდნენ, კარგ შედეგებს ვერ აჩვენებდა. აქ კი ლიდერიცაა და აქტივში ტალსა და გელერთან გამარჯვება აქვს.

XII ტურის შემდეგ ლიდერებს, პეტროსიანის გარდა, გადადებული პარტიები ჰქონდათ. მათ დამთავრებაზე დამოკიდებული იყო ლიდერთა ჯგუფში ადგილების განაწილება. ფიშერმა იშვიათი სიზუსტით მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია ტრიფუნოვიჩთან პარტიაში და გაიმარჯვა. ამით ამერიკელის აქციებმა ერთპიროვნულ ლიდერობაზე საგრძნობლად აიწია. ტრიფუნოვიჩი იყო ერთ-ერთი იმ სამი მოგიკანიდან (ფიშერი, გლიგორიჩი), რომელიც აქამდე დაუმარცხებელი მიიწევდა წინ.

ტალმა ვერ გასტეხა დონერის წინააღმდეგობა და ყაიმით დაკმაყოფილდა. ვერც კერესმა შეძლო გამარჯვება მატანოვიჩთან. იგი შეურიგდა ყაიმს. გლიგორიჩმა მოუგო პახმანს და ჩაება ლიდერთა ფერხულში.

XII ტურს მოჰყვა ლიდერების ასეთი განაწილება: ფიშერი (9 ქულა), ტალი, კერესი, პეტროსიანი და გლიგორიჩი (8 ქულა თვითეულს).

## მატჩის შემდეგ

ამას წინათ ლონდონის „უაიტსიტის" სტადიონზე დამთავრდა ინგლის-რსფსრ-ს მძლეოსანთა მატჩი. სეზონის ამ მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლონდონის გაზეთების ფურცლებზე. სპორტული კომენტატორები განსაკუთრებით გამოჰყოფენ ორ მოვლენას — ვ. ბრუმელის შესანიშნავ ნახტომს 221 სანტიმეტრზე და თ. პრესის ფენომენალურ შედეგს — ახალ მსოფლიო რეკორდს ბადროს ტყორცნაში — 58.98. „თამარა პრესი განუმეორებელი ბადროს მტყორცნელია, რომლის მსგავსი მსოფლიოს არ ახსოვს, მან ბადრო მფრინავ თეფშად გადააქცია". — წერდა „ტაიმსი".

## მგზავრული

მუსიკა რ. ლაღიძისა. ტექსტი შ. ამირანაშვილისა.



მოვიმღერით სპორტსმენები
სულით მხნე და გულით ლაღი,
მოვიმღერით, თავს დაგვნათის
მტრედისფერი ზეცის თაღი.

მისამღერი:
გვახარებს დილა მჩქეფარე,
ღამე ვარსკვლავით ნაგები,
ისე ვით რწმენა მომავლის,
მტკიცეა ჩვენი ჰანგები.

სპორტი ჩვენი სიცოცხლეა,
სილაღე და გულის ლხენა,
სიჭაბუკე ეშხით სავსე
და ნეტარი აღმაფრენა.

## ვენის ფიცარნაგზე

უმძიმეს წონაში მომხდარი ამბავი გამეორდა (საკუთარმა წონამ „განსაცდელისაგან" იხსნა საბჭოთა სპორტსმენი). ქვემსუბუქი წონის სპორტსმენთა შეჯიბრების დროსაც ამერიკელი ი. ბერგერი პირველსავე მოძრაობაში (120 კგ) წინ გავიდა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონობის დანარჩენმა პრეტენდენტებმა საბჭოთა ძალოსანმა ე. მინაევმა აჩვენა — 117,5, იტალიელმა ს. მანირონიმ კი — 105 კგ. ატაცის პირველსავე ცდაზე მინაევმა დაძლია 107,5 კგ და რომ მოწყვეტოდა მეტოქეებს მოითხოვა შტანგაზე დაემატებინათ კიდევ 2,5 კგ. მაგრამ ეს წონა საბედისწერო გამოდგა საბჭოთა ძალოსანისათვის. მან მოძრაობის შესრულებისას ტრავმა მიიღო და ექიმების კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად მაინც განაგრძო შეჯიბრება. ამ მომენტისათვის ბერგერს ორ მოძრაობაში უკვე დაგროვილი ჰქონდა 225, კგ. მანირონს — 215.

უკანასკნელ მოძრაობაში ი. ბერგერმა და ს. მანირონიმ ერთნაირი წონა — 142,5 კგ დაძლიეს, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამერიკელი ძალოსანი მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო. უჩვეულო ამბავი მოხდა ევროპის ჩემპიონის სახელის გამოვლინების დროს. ე. მინაევმა და ს. მანირონიმ ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 357,5 კგ. ყველაფერი უნდა გაერკვია ამ ორი ძალოსნის წონას. ჩვენი კონტინენტის ჩემპიონობის პრეტენდენტებმა თითქოს აქაც „პირი შეჰკრეს" ორივე ერთნაირი წონის აღმოჩნდა და მსაჯთა კოლეგიამ ე. მინაევსა და ს. მანირონს მიანიჭა ევროპის ჩემპიონის სახელი და გადასცა ოქროს მედლები.




თბილისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში ნაყოფიერად მეცადინეობს მოზრდილ და მოზარდ ხუთჭიდელთა ჯგუფები.

სურათზე: ხუთჭიდელთა ერთ-ერთი მეცადინეობა. მარცხნივ — მწვრთნელი რ. მანჯავიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სპორტულ საქართველოში

## „კოლმეურნე“

ამას წინათ სოხუმის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ბაზებზე ჩატარდა „კოლმეურნის“ უძლიერეს ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებისათვის განსაკუთრებით ცუდად იყვნენ მომზადებულნი გორისა და სიღნაღის ფრენბურთელები, რომლებიც ზოგჯერ თამაშის ელემენტარულ წესებშიც ვერ ერკვეოდნენ.

მიუხედავად ამისა, შეჯიბრება დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა შეჯიბრების ლიდერის — სოხუმისა და თელავის გუნდების შეხვედრა.

თელაველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც ადრე დამარცხება განიცადეს ლაგოდეხელებთან შეხვედრაში 2 : 3, ამჯერად შესანიშნავი თამაში უჩვენეს და სოხუმელებმა ძალთა უკიდურესი დაძაბვით შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება — 3 : 2 (15 : 10, 13 : 15, 15 : 7, 11 : 15, 15 : 8).

ამის შემდეგ სოხუმელებმა ფინალურ მატჩში მშრალი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ლაგოდეხელები და პირველობა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლაგოდეხისა და თელავის გუნდები.

ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში მხოლოდ სამი კოლექტივი იღებდა მონაწილეობას. აქაც, როგორც ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში, პირველ ადგილზე კვლავ ადგილობრივი სპორტსმენები გამოვიდნენ; რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს ლაგოდეხელები — 3 : 1, მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ლაგოდეხისა და გორის გუნდები.

# ჰოკეი გვიახლოვდება

## ოთხი შეკითხვა — ორი თვალთახედვა

„წოვოსტის“ სააგენტოს კორესპონდენტმა 4 ერთნაირი შეკითხვით მიმართა ჰოკეის 2 წამყვან სპეციალისტს — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. ბობროვსა და სპორტის ამ სახეობის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს, სპორტის ოსტატ ა. კოსტრიუკოვს. აღმოჩნდა, რომ ორი სპეციალისტის აზრი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. უკეთესია სიტყვა მივცეთ თვით მათ.

— რით შეგიძლიათ ახსნათ ჩვენი ნაკრები გუნდის წარუმატებლობა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე შვეიცარიაში?

ა. კოსტრიუკოვი: ვფიქრობ, რომ შვეიცარიაში შეჯიბრებაზე პირველყოვლისა გვიღალატა ახალგაზრდა მეკარე ვ. ჩინოვმა. მას ასეთი დიდი შეჯიბრებისათვის არ ეყო გამბედაობა და თავშეკავებულობა, მოსალოდნელია, რომ მომავალ შეხვედრაში ჩვენი ახალგაზრდა მეკარე კარგ თამაშს გვიჩვენებს. წარუმატებლობის მეორე მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ გოლის გატანის რეალურ შესაძლებლობებს.

ვ. ბობროვი: მე არ ვყოფილვარ შვეიცარიაში, არ მინახავს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. მაგრამ რადგან ჩვენს ნაკრებ გუნდს კარგად ვიცნობ, გავბედავ და განვსჯი მის წარუმატებლობის მიზეზებს. ჩემის აზრით, გუნდი დაკომპლექტებული იქნა ძალზე გვიან, შეჯიბრების წინ, ისე, რომ ჰოკეისტებმა ვერც კი მოასწრეს ერთმანეთთან შეთამაშება. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ისეთი გამოცდილი მეკარე, როგორიც ნ. პუჩკოვია, მოსკოვში დარჩა.

— რა ამოცანების წინაშეა ჩვენი ჰოკეი?

ა. კოსტრიუკოვი: ვფიქრობ, რომ ჩვენი წამყვანი გუნდების ოსტატობის დონე დამაკმაყოფილებელია. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის თამაშის კლასის შემდგომი ამაღლება, პირველ რიგში ჰოკეისტთა ტექნიკური მომზადება. ჩვენ ვცდილობთ შეჯიბრების კალენდრის გამრავალფეროვნებას. საერთაშორისო შეხვედრები მომავალ სეზონში უფრო საინტერესო იქნება, ახლებურად ჩატარდება სსრ კავშირის პირველობა. 20 უძლიერესი გუნდი ყოველგვარი წინასწარი შეხვედრების გარეშე გაითამაშებენ სსრ კავშირის პირველობას ორ წრედ. ამასთან მოსკოვის 5 უძლიერესი კოლექტივი — ცსკა, „ლოკომოტივი“, „კრილია სოვეტოვი“, „სპარტაკი“ და „დინამო“ მატჩების უმეტეს ნაწილს ჩაატარებენ მოწინააღმდეგეთა მოედნებზე. ეს რასაკვირველია, უფრო პოპულარულს გახდის სპორტის ამ სახეობას. ჰოკეი შეტანილია აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადის პროგრამაში.

ვ. ბობროვი: ჩვენს ჰოკეისტებს უკანასკნელ ხანებში ემჩნევათ ტაქტიკური შაბლონისადმი მიდრეკილება. რამდენიმე წლის წინათ მოსკოვის 8 უძლიერეს გუნდიდან ყოველ მათგანს ჰქონდა თამაშის საკუთარი სტილი. არმიელებს, მაგალითად, უყვარდათ ღრმა დაცვიდან კონტრშეტევა, „კრილია სოვეტოვს“ — მეტოქეების ზონაში ჩაკეტვა, დინამოელები ხშირად აღწევდნენ წარმატებას სწრაფი შეტევების წყალობით. ამჟამად ყველა კოლექტივი თამაშობს ერთი მანერით, რაც ხელმისაწვდომია ჩვენი მეტოქეებისათვის.

— თქვენის აზრით, როგორ უნდა დაკომპლექტდეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები?

ა. კოსტრიუკოვი: როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს 1962 წლის თებერვალში ამერიკის ქალაქ კოლორადო-სპრინგსში გამართულ მსოფლიოს მორიგ XXVIII ჩემპიონატში. გადაწყვეტილი გვაქვს ნაკრები დავაკომპლექტოთ საკლუბო გუნდებში უკვე მომზადებულ რგოლებიდან, რომელთა სპორტსმენები ერთმანეთთან კარგად არიან შეთამაშებულნი.

ვ. ბობროვი: პირველ რიგში ნაკრები უნდა დაკომპლექტდეს რგოლების მიხედვით. მაგრამ ამ წესიდან შეიძლება გადახვევა. რგოლი საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა თავდასხმის მთელი სამეული ოსტატობის მხრივ თანაბარია. თუ კი რომელიმე მათგანი შედარებით სუსტია, მაშინ იგი უნდა შევცვალოთ უფრო ძლიერი მოთამაშით, თუგინდ ეს ჰოკეისტი სხვა კოლექტივიდანაც იყოს.

— როგორ გამოიყურება ამჟამად ჩვენი ოსტატების, ცვლა, როგორ ვითარდება ჭაბუკთა ჰოკეი?

ა. კოსტრიუკოვი: ჩვენ კმაყოფილი ვართ ჰოკეის მასობრიობის დონის ტემპით. ამ სახეობის მოყვარულებს შეიძლება შეხვდეთ სსრ კავშირის ასობით ქალაქში ბალტიკიდან წყნარ ოკეანემდე, აგრეთვე სამხრეთის რაიონებშიც, მაგალითად, საქართველოში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოში, როგორც ფეხბურთში, ისე ჰოკეიში, აღიზრდებიან წამყვანი სპორტსმენები.

ვ. ბობროვი: სასიხარულოა, რომ რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ახალგაზრდობა ებმება ჰოკეის თამაშში. მაგრამ ჭაბუკების ოსტატობას ჯერ კიდევ აკლია [illegible]. მთავარი უბედურება ახალგაზრდობის სუსტ ტექნიკურ მომზადებაშია. მაშინ, როცა ჰოკეისტი მომწიფებულ ასაკშია, ამის გამოსწორება უკვე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ყველაფერი რიგზე არაა ჰოკეის წამყვან ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში. როგორც მე მგონია, ჰოკეის საკავშირო ფედერაციამ ახალგაზრდების შეჯიბრებები უნდა მოაწყოს უფრო ხშირად, განამტკიცოს მწვრთნელთა კადრები, მეტი კონტროლი გაუწიოს მათ საქმიანობას.

# ამ საქმის გვერდის ავლა არ შეიძლება

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების საერთო ფერხულში დიდი ხანია ჩაებნენ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ახალი ვალდებულებების შესრულებით შეხვდნენ დიდმნიშვნელოვან თარიღს.

ნაკისრ ვალდებულებათა შორის არის ერთი ასეთი პუნქტიც: „ურილობის გახსნისათვის რესპუბლიკის მწვრთნელები, რომლებსაც არა აქვთ ფიზკულტურული განათლება, ჩაბმულნი იქნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე და მწვრთნელთა სკოლაში“.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის ეს დოკუმენტი, რომელიც თვით მწვრთნელთა ინტერესებიდან გამომდინარეობს, სათანადოდ ვერ შეაფასა ბევრმა ამხანაგმა და ვალდებულების შესრულება საფრთხის წინაშე დააყენა.

იქნებ ვერ აცნობეს დროულად მათ? არა, პირიქით. გარდა იმისა, რომ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო ცნობა კურსების გახსნის შესახებ, თბილისის სპორტკავშირმა გააფრთხილა ყველა ის ორგანიზაცია, რომელშიც სპეციალური განათლების არმქონე ფასიანი მწვრთნელი ირიცხებოდა, რის შემდეგაც აღრიცხვაზე მყოფ ყველა მწვრთნელს პერსონალურად დაეგზავნა წერილები ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე და მწვრთნელთა სკოლაში მოწყობის საკითხზე, განა ერთხელ, რამდენჯერმე.

სამწუხაროდ, ვერც ამან გამოიღო ნაყოფი და თბილისის სპორტკავშირს მოუვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორის — ა. ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობა: „მწვრთნელთა კურსებზე შემოსულია 14 განცხადება. ქართულ და რუსულ სექტორზე ამ რაოდენობის აბიტურიენტთათვის ნორმალური სასწავლო პროცესის ორგანიზება (9 სპეციალობით) შეუძლებელია.

გთხოვთ მიიღოთ ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია კურსების გახსნა“.

ცნობა საგანგაშოა და, ჩვენის აზრით, მართლაც გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც შეგნებული არა აქვთ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობა. ზოგიერთ მწვრთნელს სათაკილოდ და ასაკისათვის შეუფერებლად მიაჩნია კურსებზე სიარული. ამნაირ ადამიანთა „გამოსაფხიზლებლად“ საკმარისია შემდეგი ფაქტის მოყვანა: კურსებზე მიღების მთხოვნელთა შორის არიან მწვრთნელად მუშაობის 30 წლის სტაჟის მქონე — ცნობილი ჩოგბურთელი და დამსახურებული მწვრთნელი ვ. ს ე რ ე ბ რ ი ა ნ ი კ ო ვ ი, ჭ ი დ ა ო ბ ი ს მწვრთნელი ნ. აკოფოვი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ასლანიდი და სხვები, რომლებსაც არა ერთი და ორი სანიმუშო სპორტსმენი აღუზრდიათ. ამ ღვაწლმოსილ ადამიანთა კეთილშობილურ ფონზე კონტრასტულად ჩანან შედარებით სრულიად ახალგაზრდა მწვრთნელები: გ. დარახველიძე, ო. დადუნაშვილი, ნ. ქიქავა, ვ. კაკუტია, ვ. კლიმოვა, ს. ბურჯანაძე, ზ. ქოვლიევა, პ. ჭელიძე, ვ. სამარინი, ა. ვერულავა, ვ. რაზმაძე, გ. არუთინოვი, ა. ხაბურზანია, კ. გრომოვი და სხვები, რომლებიც თავს არიდებენ მათთვის აუცილებელი ცოდნის დაუფლებას.

თუ ს პ ო რ ტ უ ლ ი ს კ ო ლ ი ს მწვრთნელს მაგიდის ჩოგბურთში თ. ლოლაძეს, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, საჭიროდ მიაჩნია კურსებზე სიარული, განა იგი მით უფრო საჭირო არ არის სხვა მწვრთნელებისათვის, რომლებსაც საშუალო განათლებაც კი არა აქვთ?

ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქუთაისის თანამედროვე ხუთჭიდის გუნდის მწვრთნელის ლ. ადეიშვილის წერილი, რომელშიც იგი სპორტის სხვადასხვა სახეობაში მომუშავე 80 თანამოქალაქე მწვრთნელის სახელით გვთხოვს რაიმე დახმარება აღმოვუჩინოთ მათ საკითხის დასმაში ქუთაისელთათვის დაუსწრებელი განყოფილების ან ფილიალის გახსნის შესახებ.

მოთხოვნა სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია და საჭიროა საქართველოს სპორტკავშირმა რაიმე ქმედითი ნაბიჯი გადადგას პერიფერიების წარმომადგენელთა დასახმარებლად.

Გ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ



მოსკოვის წარმოება-დაწესებულებათა ახალგაზრდა სპეციალისტებმა და ქ. ტულის მოტოროლერების ქარხნის კონსტრუქტორმა ვ. ლანუტინმა მოსკოვიდან აიღეს სტარტი ახალი მოდელის მოტოროლერით — „ტ-200-მ“-ით. მოტოროლერით გადარბენა ეწყობა ახალი მანქანის გამოცდის მიზნით და ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. ახალი მოტოროლერის ტრასაა: მოსკოვი-თბილისი-ბაქო... შემდეგ გადარბენის მონაწილეები გაივლიან რთულ სამთო გზებზე ყარაყუმის უდაბნოში, ტიან-შანსა და პამირში. გადარბენის მონაწილეები უკვე იყვნენ თბილისში, ახლა მათ გეზი ბაქოსკენ აიღეს.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გადარბენის მონაწილენი ეცნობიან შემდგომ მარშრუტს.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

# შედეგი მეორე ნახევარში

თბილისი. 23 სექტემბერი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

„დინამო“ (თბილისი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 2:1 (0:0).

„ავანგარდი“: უგრაიცკი; ონისკო, შიშკოვი, სოკოლოვი; ტოდოროვი, ოუერედოვი; ნესტეროვი, კოსტიუკი, პანფილოვი, კოროლიოვი, ხარატუროვი, (კროშჩენკო).

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, ხელაძე; დათუნაშვილი (მელაშვილი), ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მატჩს სჯიდა კრასნოდარის მხარის მსაჯთა ბრიგადა. დ. სარქისოვის ხელმძღვანელობით.

მატჩის დასაწყისშივე აშკარა გახდა სტუმრების ამოცანა: რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, უვნებელეყოთ თავიანთი კარის მისადგომები. ამ მიზნით უკან იყვნენ დაწეულნი შუამარბები კოსტიუკი და კოროლიოვი, ხოლო ცენტრალურ თავდამსხმელს დავალებული ჰქონდა პერსონალური მეთვალყურეობა გაეწია ბარქაიასათვის, არავითარ შემთხვევაში არ მიეცა მისთვის თავისუფალი მანევრირების საშუალება. ყოველივე ამან სტუმრები თავისთავად მიაჯაჭვა საკუთარ კარს და ცხადია, წინ დარჩენილ სამ თავდამსხმელს თბილისელთა კარზე უშუალო საფრთხის შექმნის ნაკლები შანსები რჩებოდათ.

სტუმრების ამგვარმა ტაქტიკამ და აგრეთვე სველმა გრუნტმა საგრძნობლად გაუძნელა თამაში თბილისელებს, მათ საკმაო ხანი მოანდომეს ხარკოველთა კარისაკენ მისასვლელი გზის ძიებას. სწორედ ამ ძიების დროს გაუშვეს სტუმრებმა ხელიდან ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, როცა მარჯვენა გარემარბმა ნესტეროვმა ვერ გამოიყენა კარიდან კოტრიკაძის დროული გამოუსვლელობა. ფაქტიურად ეს იყო ხარკოველთა ერთადერთი შანსი გოლის გატანისა.

მე-5 წუთიდან თბილისელი ფეხბურთელები დასახლდნენ ხარკოველთა ნახევარზე და მარცხენა ფრთამ მესხი-იამანიძე, რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელა. ერთ-ერთი ასეთი გარღვევისას, ბარქაიას ძლიერი დარტყმა შემთხვევით მოხვდა ცენტრალურ მცველს შიშკოვს და ბურთი გავიდა თავისუფალზე. ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფრთიდან იერიში იერიშს მოსდევდა. მათი დამწყებნი უდაოდ აქტიურად მებრძოლი ნახევარმცველები იყვნენ, ხშირად იქმნებოდა კარის აღების რეალური შესაძლებლობანი, მაგრამ საკმაოდ შეთანხმებით თამაშობდნენ ხარკოველი მცველები და მეკარე ან თბილისელი თავდამსხმელები ვერ იჩენდნენ სათანადო სიზუსტეს კარში დარტყმის დროს. იყო ისეთი მომენტიც, როცა იამანიძის, ბარქაიას, დათუნაშვილის დარტყმები ზედიზედ მოიგერია უგრაიცკიმ.

მესხის მანევრებს თანდათან აულო ალღო ორივე „დარაჯმა“ და იგი ერთხანს გამოთიშეს კიდეც თამაშიდან, მაგრამ თბილისელთა მარცხენა გარემარბს ფარ-ხმალი როდი დაუყრია — მთელი ენერგიით იბრძოდა, ეძებდა და მოსვენებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეთ. ამ დღის თამაშით უდაოდ ქების ღირსია თბილისელთა კაპიტანი იამანიძე.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე



რამდენიმე წუთით ადრე, ტრავმირებული დათუნაშვილი შეცვალა მელაშვილმა, რომელმაც მეორე ნახევარში გაბედულად ითამაშა და საკმაო დაბნეულობა შეიტანა სტუმრების დაცვაში, მაგრამ ჩქარობდა, სათანადოდ ვერ ითვალისწინებდა სველ გრუნტს და შედეგს ვერ აღწევდა. ბოლოს ისევ მელაშვილმა შეძლო ხარკოველთა მისადგომების „აღება“, როცა ბარქაიას წამოწყებული კომბინაცია, სუსტი, მაგრამ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა — 1:0.

ეს იყო მატჩის 72-ე წუთზე. ზუსტად 8 წუთის შემდეგ სტუმრებმა განმეორებით დაიწყეს თამაში ცენტრიდან, ამჯერად გოლის ავტორი იყო მესხი, მაგრამ ამაში სათანადო დამსახურება ისევ ბარქაიას მიუძღვის, რომელმაც გადაინაცვლა რა მელაშვილის ადგილზე, განახორციელა ღრმა რეიდი და ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე. კალოევის დარტყმული ბურთი ცუდად მიიღო უგრაიცკიმ, ბურთს მიუსწრო მესხმა და... 2:0.

მხოლოდ ამის შემდეგ შეცვალეს დაცვითი ტაქტიკა სტუმრებმა და მატჩის უკანასკნელ წუთზე კოროლიოვმა შეძლო ერთი გოლის გაქვითვა.

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ მოიგო მეთექვსმეტედფინალური მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე. მორიგ მატჩს თასზე ისინი ითამაშებენ სტალინოში, „შახტიორთან“.

**დ. ცომაია,**

**საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,**

**ო. გელაშვილი.**




## გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 20 სექტემბრისათვის**

### პირველი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიხარული“ მახარაძე | 24 | 16 | 4 | 4 | 55:26 | 36 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 23 | 15 | 5 | 3 | 56:19 | 35 |
| „იმერეთი“ ქუთაისი | 23 | 13 | 8 | 2 | 52:28 | 34 |
| სკა თბილისი | 23 | 12 | 5 | 6 | 44:22 | 29 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 21 | 11 | 5 | 5 | 42:27 | 27 |
| „შუქურა“ ქობულეთი | 24 | 9 | 7 | 8 | 47:39 | 25 |
| „განთიადი“ ბათუმი | 22 | 10 | 5 | 7 | 37:38 | 25 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 23 | 9 | 6 | 8 | 40:36 | 24 |
| „კოლხიდა“ ხობი | 24 | 7 | 8 | 9 | 42:37 | 22 |
| „ბახმარო“ ჩოხატაური | 23 | 8 | 3 | 12 | 30:59 | 19 |
| „კოლმეურნე“ თელავი | 25 | 6 | 7 | 12 | 43:71 | 19 |
| „მექანიზატორი“ ადიგენი | 26 | 4 | 4 | 18 | 30:41 | 12 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 25 | 4 | 4 | 17 | 28:71 | 12 |
| „დინამო“ სოხუმი | 22 | 3 | 4 | 15 | 23:55 | 10 |

### მეორე ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ ლანჩხუთი | 23 | 19 | 1 | 3 | 66:28 | 39 |
| „სპარტაკი“ სტალინირი | 25 | 15 | 3 | 7 | 49:31 | 33 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 25 | 13 | 7 | 5 | 43:29 | 33 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 24 | 13 | 5 | 6 | 51:27 | 31 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 24 | 13 | 4 | 7 | 47:28 | 30 |
| „მეზღვაური“ ფოთი | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 28 |
| „ფეიქარი“ წულუკიძე | 24 | 10 | 4 | 10 | 43:47 | 24 |
| „სპარტაკი“ თბილისი | 24 | 9 | 6 | 9 | 28:35 | 24 |
| „მშენებელი“ ქუთაისი | 24 | 7 | 7 | 10 | 33:36 | 21 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 25 | 6 | 5 | 14 | 25:56 | 17 |
| „დილა“ გორი | 22 | 5 | 4 | 13 | 30:37 | 14 |
| „ისანი“ თბილისი | 24 | 5 | 4 | 15 | 26:46 | 14 |
| „სპარტაკი“ რუსთავი | 26 | 1 | 5 | 20 | 22:54 | 7 |

## სსრ კავშირის თასი

| 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი |
|---|---|---|---|---|
| „კალევი“ ტალინი — „ნეფტიანიკი“ ბაქო | „ნეფტიანიკი“ 2 : 1 | | | |
| „რაკეტა“ გორკი — „ტორპედო“ პავლოვო | „ტორპედო“ (პ) 3 : 0 | | | |
| „ზენიტი“ ლენინგრადი — „კოლგოსპნიკი“ ჩერკასი | | | | |
| „ბელარუსი“ მინსკი — „კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი | „კრ. სოვეტოვი“ 1 : 0 | | | |
| „ტორპედო“ მოსკოვი — „შრ. რეზერვები“ კურსკი | „ტორპედო“ (მ) 2:0 | „ტორპედო“ (მ) 8:0 | | |
| „სპარტაკი“ ლენინგრადი — „ტორპედო“ არმავირი | „სპარტაკი“ (ლ) 6 : 0 | | | |
| ს კ ა როსტოვი — „სპარტაკი“ ერევანი | ს კ ა (რ) 3 : 1 | | | |
| სკფ სევასტოპოლი — „სპარტაკი“ მოსკოვი | „სპარტაკი“ (მ) 4 : 0 | | | |
| „ლოკომოტივი“ მოსკოვი — „ენერგია“ ვოლჟსკი | „ლოკომოტივი“ (მ) 5 : 1 | „ლოკომოტივი“ (მ) 4 : 0 | | |
| „პახტაკორი“ ტაშკენტი — „მეტალურგი“ სტალინსკი | „მეტალურგი“ (ს) 3 : 0 | | | |
| „დინამო“ კიევი — „ავანგარდი“ კრამატორსკი | „დინამო“ (კ) 3:2 | | | |
| „ადმირალტეეცი“ ლენინგრადი — ქ. სერპუხოვის გუნდი | „ადმირალტეეცი“ 2:2, 3:2 | | | |
| „ენერგეტიკი“ სტალინაბადი — „ხიმიკი“ სტალინოგორსკი | „ხიმიკი“ (ს) 5 : 1 | „ხიმიკი“ (ს) 2 : 0 | | |
| „დინამო“ მოსკოვი — „ისკრა“ ყაზანი | „დინამო“ (მ) 0:0, 8:0 | | | |
| „შახტიორი“ სტალინო — „სპარტაკი“ ფერგანა | „შახტიორი“ (სტ) 3 : 0 | | | |
| „დინამო“ თბილისი — „ავანგარდი“ ხარკოვი | „დინამო“ (თბ) 2:1 | | | |

## ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

15 სექტემბერს კიევში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ ლიდერები — მოსკოვის „ტორპედო“ და კიევის „დინამო“. როგორც ცნობილია, ეს მატჩი მოიგეს კიეველებმა—2:0, მაგრამ საქმე მატჩის ანგარიშში როდია. შეხვედრის დროს ორივე გუნდის ფეხბურთელები უხეშობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ტორპედოელები ვ. ვორონინი, ვ. ივანოვი, ს. მეტრეველი და დინამოელი ვ. შჩეგოლკოვი. მსაჯმა პ. გავრილოვმა განსაკუთრებული „თავის გამოჩენისათვის“ მოედნიდან გააძევა ვორონინი.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ვორონინის, ივანოვის და შჩეგოლკოვის ამბები და დისკვალიფიკაცია მისცა ერთი მატჩით, ხოლო ს. მეტრეველს მიეცა გაფრთხილება.

## გუშინ!

გუშინ, მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ფხენიანის ნაკრები. კორეელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს — 2:1.

* * *

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო შეხვედრები კალათბურთში. პირველად მოედანზე გამოვიდნენ ბუქარესტის ნაკრები და თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა — 51:48.

ბუქარესტის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა გვიან ღამით. ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# „შავი ბრილიანტი“

ბრაზილია უმაღლესი კატეგორიის საფეხბურთო ქვეყანაა. ეს ახლა ბავშვმაც იცის. საქმე მხოლოდ იმაში კი არაა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები 1958 წლიდან საერთაშორისო საფეხბურთო იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისა და ჟიულ რიმეს თასის მფლობელია. ძნელად, რომ კიდევ რომელიმე ქვეყანა იყოს ისეთი მდიდარი უბრწყინვალესი ფეხბურთელებით, როგორიცაა ბრაზილია. აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სტადიონზე და მინდორზე შეხვდებით ფეხბურთელებს, რომლებსაც „ღმერთებსა“ და „ნახევარღმერთებს“ უწოდებენ და ტყუილად როდი წერენ უცხოეთის გაზეთები ბრაზილიის ძირითად ეროვნულ სიმდიდრეზე: „ყავა და ფეხბურთელები“.

და აი ფეხბურთის ამ „მექაშიც“ კი არის ერთი მოთამაშე, რომელიც თავისი განსაცვიფრებელი ვირტუოზობით გამოირჩევა ყველა სხვა „ღმერთებს“ შორის და მას საფეხბურთო ტახტრევანზე დაახლოებით იგივე ადგილი უკავია, რომელიც ძველს ოლიმპოზე ეკავა ზევსს.

ამბობენ, როცა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ვ. ფეოლას ჰკითხეს, თუ ვინ მიაჩნია მას ყველა დროის უშესანიშნავეს ფეხბურთელად, მან უპასუხა: „პელე და... პელე“.

ესაა 20 წლის ჭაბუკი ზანგი, ედსონ არანტეს დო ნასიმენტო პელე, „შავი ბრილიანტი“.

დიდ საფეხბურთო ასპარეზზე პელე გამოჩნდა 1958 წლის 15 ივლისს მსოფლიო პირველობის მატჩში ბრაზილიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ დღემდე ედსონ არანტეს დო ნასიმენტო ითვლებოდა მხოლოდ 17 წლის ნიჭიერ ფეხბურთელად, ხოლო ეს ვუნდერკინდი 15 ივლისიდან იქცა მოთამაშედ, რომელმაც აალაპარაკა მთელი მსოფლიო.

პელეს ტექნიკაზე საარაკო ამბებს ყვებიან. მინდორზე მას ამოძრავებს რაღაც საოცარი შინაგანი გრძნობა, თანდაყოლილი ინტუიცია, რომელიც მას საშუალებას აძლევს უშეცდომოდ ამოირჩიოს თამაშის ყველაზე უფრო საინტერესო, ორიგინალური და მწვავე ტაქტიკური ვარიანტი. ესაა არა ფეხბურთელის მძიმე შრომა, არამედ ჭეშმარიტი ხელოვანის იმპროვიზაცია. პელეს მიერ მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩში გატანილი გოლი საერთო აღიარებით ნამდვილი საფეხბურთო შედევრია. ამბობენ, რომ თვითონ ბურთის ავტორმა ბევრი იცინა, როცა შემდგომში ეკრანზე ნახა შენელებულ ტემპში გადაღებული ეს განსაცვიფრებელი გოლი.

პელე არ ეკუთვნის „ტარანის“ ტიპის ძალისმიერ ფორვარდებს, თუმცა იგი მცირე ტანის, მაგრამ ათლეტური აგებულებისაა. პელე მცველებთან პირისპირ შებრძოლებისას იმ მოკრივესა ჰგავს, რომელიც თვალშეუვლები მოძრაობით ირიდებს მეტოქის დარტყმებს. პელე ისე გადის ორ-სამ მოწინააღმდეგეს შორის, რომ ისინი ვერ ახერხებენ მასთან შეტაკებას და თუნდაც ხელით დაჭერას. პელეს უყვარს მსუბუქი, სწრაფი, ლამაზი, საინტერესო თამაში. იგი ღირსეულ ხარკს უხდის ესთეტიკურ ფეხბურთს.

რა თქმა უნდა, პელეს დიდი ბუნებრივი ტალანტი აქვს თანდაყოლილი, მაგრამ შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ მას ასეთი თამაში განგებამ მიანიჭა თვით დაბადების დღიდანვე. პელე ვარჯიშობს ისე, როგორც არავინ. მას შეუძლია დღეში 5-7 საათი დაუთმოს ბურთით წვრთნას, საერთო ფიზიკურ მომზადებას, ვარჯიშს, სისწრაფეზე, მოქნილობაზე, ორიენტირებაზე. პელე სისტემატურად ადევნებს თვალს უახლეს საერთაშორისო ლიტერატურას ფეხბურთში, გულდასმით სწავლობს გამოჩენილ ფეხბურთელთა თამაშის მანერას.

უცხოეთის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ პელეს პირადი ცხოვრების დეტალებს. იგი უაღრესად გულღია, მხიარული და ხალისიანი ჭაბუკია. „სანტოსის“ კლუბის ხელმძღვანელობამ პელეს საავარაკო ადგილას აჩუქა კოტეჯი, სადაც მას ნამდვილი ზოოლოგიური პარკი აქვს გამართული. პელეს თავდავიწყებამდე უყვარს მუსიკა, უკრავს რამდენიმე ინსტრუმენტზე და ხშირად მონაწილეობს ერთ-ერთ ადგილობრივ ჯაზში. გარდა ამისა, პელემ იშვილა 3 წლის ბიჭუნა—კარლოსი, ზრდის მას და ასწავლის ფეხბურთის თამაშს.

როგორც ცნობილია, პელეს ხელში ჩასაგდებად დიდ ხანს იბრძოდნენ მრავალი სახელმწიფოს ცნობილი, მდიდარი კლუბები, მაგრამ ახალგაზრდა ზანგი კატეგორიულ უარს ამბობდა სამშობლოს დატოვებაზე. იგი ჯიუტად იქნევდა თავის ხუჭუჭა თავს, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ფანტასტიკურ თანხაზეც კი. „მე ბრაზილიისა და „სანტოსის“ პატრიოტი ვარ“.—ამბობდა იგი.

მაგრამ სულ ახლახან ბრაზილიიდან მოვიდა ახალი ცნობა, რომ პელე ბოლოსდაბოლოს გატყდა. გერმანული გაზეთი „ფუსბალ-ვოჰეს“ ცნობით ს. ანელიმ მაინც შეისრულა თავისი ძველი გულისწადილი, თუმცა ეს კაპრიზი მას 3,5 მილიონ გერმანულ მარკად დაუჯდა.

ეს სარეკორდო თანხაა, რომლის მაგვარი ჯერ არ გადაუხდიათ არც ერთი სპორტსმენისათვის.

მაგრამ პელეს გაყიდვის შესახებ 1958 წლის მსოფლიო პირველობის შემდეგ არაერთხელ დაუწერიათ უცხოეთის პრესაში და ყველა ეს ცნობა ტყუილი სენსაცია გამოდგარა.

კარგი იქნება თუ ეს ბოლო ცნობაც მონაჭორია.

ბ. ქორქია

* * *



სურათზე: პელე თავისუფალ დროს.



როგორ შეიძლება მივიდოთ დიაგრამაზე მოყვანილი პოზიცია ოთხ სვლაში. რასაკვირველია, იგულისხმება, რომ თამაშს დაწყებითი მდგომარეობიდან ვიწყებთ.







თბილისელი ხელბურთელები ჯ. ცერცვაძე (ზევით) და თ. ანთაძე.

მეგობრული შარჟები გ. დოლიძისა.

# ბრძოლა ტრიბუნებზე

ინგლისურმა გაზეთმა „დეილი უორკერმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც ბრიტანელი „ფენსების“ („გულშემატკივარი“) ჩვევებზე მოგვითხრობს, თურმე, შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროში უჩივლა მოსამართლეებს, იმის გამო, რომ ისინი ფეხბურთის მატჩების დროს ტრიბუნებზე მსხდომი წესრიგის დამრღვევების მიმართ ზედმეტ ლიბერალიზმს იჩენენ. გარი სუენმა (კლუბი „ჰიბერნე“) განაცხადა: „მოსამართლეები არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ტრიბუნებზე უწესრიგობა აღკვეთონ... ჩადენილი დანაშაული ხშირად ძალზე მძიმეა, დამნაშავეებს კი უმნიშვნელო ჯარიმით სჯიან. ჩვენ თითონ არა ერთხელ მივვმართავს მაყურებლებისათვის და გვიცდია აყალმაყალის ამტეხთა შერცხვენა, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა“.

აი კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ამ შემთხვევის მონათესავეა. როგორც წესი ფეხბურთის ჩემპიონატის მორიგი ტურის წინ ინგლისის გაზეთები გუნდების შემადგენლობებთან ერთად აქვეყნებენ ე. წ. „ლაზარეთის სიებს“. ამ სიებში შეაქვთ ის სპორტსმენები, რომლებმაც მიღებული ტრავმების გამო ფეხბურთის მოედანი დატოვეს. ასე მაგალითად, „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ გუნდიდან „ლაზარეთის სიაში“ აღმოჩნდა მოთამაშე, რომელიც თავში იყო დაჭრილი ბოთლით (?!). ბოთლი მას ესროლა გაავფთრებულმა „ფეხბურთის გულშემატკივარმა“.

ასეთივე ამბები მეორდება საფრანგეთში. საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, რომელიც სტრასბურგში ჩატარდა, ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ წამოაყენა წინადადება სტადიონზე კანეტების (ლუდის პატარა ბოთლები) გაყიდვის აკრძალვის შესახებ. ამ მატჩის დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მსაჯმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა სტასბურგელთა კარში, ფეხბურთის მოედანი კანეტების ნამტვრევებით მოიფინა.

ეტყობა გაზეთი „ეკიპი“ თვლის, რომ თუ ბოთლები არ იქნება, არ მოხდება ბომბარდირებაც. შეხედულება, მართლაც რომ გულუბრყვილოა...

რედაქტორი ი. უგულავა.




# დ ღ ე ს!

კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი

საერთაშორისო შეხვედრა

ქ ა ლ ე ბ ი

ქ. თბილისის (ნაკრები)-რუმინეთი (ნაკრები)

ვ ა ჟ ე ბ ი

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-რუმინეთი (ნაკრები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

25 სექტემბერი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი)-სკივი (კიევი)

დასაწყისი 20 საათზე.




# დ ღ ე ს!

საქართველოს პირველობა

ოფიცერთა სახლის სტადიონი

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„სპარტაკი“ (თბილისი)

დასაწყისი 12 საათზე.

ოსკ (თბილისი)-„მაღაროელი“ (ჭიათურა)

დასაწყისი 17 საათზე.

26 კომისრის სახ. რაიონის სტადიონი

„ისანი“ (თბილისი)-„ფეიქარი“ (წულუკიძე)

დასაწყისი 17 საათზე.


გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — — 3-36-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05255